**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის**

**ოქმი №6**

**ქ. გარდაბანი** **30 ივნისი 2026 წელი 12⁰⁰ სთ.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური**

**სხდომას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი:**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამირ ხიალოვი;

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვუგარ მამედოვი;

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ლევან ნიჟარაძე;

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი;

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი გურულიშვილი;

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - თორნიკე ქავთარაძე;

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ხალხის ძალის" თავმჯდომარე - ოთარი გავაშელიშვილი;

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგი მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი;

**დღის წესრიგი**

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ " გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*მომხსენებელი:* ***დავით შინჯიკაშვილი***
*თანამომხსენებელი:* ***თორნიკე ქავთარაძე***

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*მომხსენებელი:* ***დავით შინჯიკაშვილი***
*თანამომხსენებელი:* ***თორნიკე ქავთარაძე***

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*მომხსენებელი: **დავით შინჯიკაშვილი***
*თანამომხსენებელი: **თორნიკე ქავთარაძე***

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამ თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

*მომხსენებელი: **ფლორა ასკაროვა***

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ქავთარაძისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

*მომხსენებელი: **ფლორა ასკაროვა***

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ნარიმანიძისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდეშელის დაჯილდოების შესახებ.

*მომხსენებელი: **ფლორა ასკაროვა***

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლევან ტოტიკაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

*მომხსენებელი: **ფლორა ასკაროვა***

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი ფერაშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

*მომხსენებელი: **ფლორა ასკაროვა***

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევისა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ.

*მომხსენებელი: **ფლორა ასკაროვა***

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

*მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი***

11. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

*მომხსენებელი: **ლევან ნიჟარაძე***

## მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა ბიუროს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა, საკითხები განსახილველად გამოეტანათ დღის წესრიგის შესაბამისად.

**საკითხი 1**

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით საჭიროა ცვლილება განხორციელდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №4 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30/04/2026, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016624) დამტკიცებულ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესში, კერძოდ:

1. პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სუფთა ქალაქი“ (ს/კ 226571643).";

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის $9^1$ მუხლი:

**„მუხლი $9^1$. თავშესაფარში გადაყვანა და ხარჯების ანაზღაურება**

1. ამ წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. პასუხისმგებელი სუბიექტი არის ცხოველის მეპატრონე, ხოლო მისი დაუდგენლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელმაც ფაქტობრივად განახორციელა ცხოველზე ზედამხედველობა და რომლის ქმედებით ან უმოქმედობით დაირღვა ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.

2. მეთვალყურეობის გარეშე აღმოჩენილი ცხოველი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაიყვანება თავშესაფარში, სადაც უზრუნველყოფილია წესითა და კანონით დადგენილი ღონისძიებები, მათ შორის - იდენტიფიკაცია, რეგისტრაცია და დღიური მოვლა-პატრონობა.

3. თავშესაფარში მოთავსებული ცხოველი მეპატრონეს დაუბრუნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წარადგენს დოკუმენტურ დამადასტურებელ საბუთებს თავშესაფარში გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების სრულად ანაზღაურების შესახებ.

4. თავშესაფარში ცხოველის გადაყვანისა და ყოველდღიური მოვლა-პატრონობის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი აუდიტის მიერ, ყოველწლიური წარმოდგენილი დასკვნის/შეფასების საფუძველზე დადგენილი ტარიფების მიხედვით, რომელიც მოიცავს:

ა) ცხოველის თავშესაფარში ადგილზე გადაყვანის მომსახურების ღირებულებას;

ბ) თავშესაფარში ცხოველის დღიურ მოვლა-პატრონობის ღირებულებას:

ბ.ა) ძაღლისთვის;

ბ.ბ) კატისთვის.

5. ცხოველის დაბრუნება ხორციელდება მესაკუთრის/მეპატრონეს იდენტიფიკაციის საფუძველზე მონაცემთა ერთიან ბაზაში ჩანაწერების გადამოწმებით. იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში, მეპატრონე ვალდებულია წარადგინოს სანოტარო წესით დამოწმებული ორი პირის ხელმოწერით დადასტურებული განცხადება, რომელიც ადასტურებს ცხოველის საკუთრებას. დაბრუნებამდე, იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის არქონის შემთხვევაში, ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციას.

6. ცხოველის გადაცემის ფაქტი აღინიშნება მიღება-ჩაბარების აქტში, რომელსაც ხელს აწერს მეპატრონე და უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი. აქტს თან ერთვის ცხოველის ფოტოსურათი, ხოლო მისი სიზუსტისა და ნამდვილობის პასუხისმგებლობა ეკისრება დოკუმენტის წარმდგენ პირს.

7. დაჯარიმების თაობაზე გამოცემული აქტის გასაჩივრება არ ათავისუფლებს პირს თავშესაფარში ცხოველის გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურებისგან.

8. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფარში გადაყვანიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში არ დადგინდება ცხოველის მესაკუთრე/მეპატრონე, ან იგი არ მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის დაბრუნების მიზნით, ორგანო უფლებამოსილია თანმიმდევრულად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ცხოველის გასხვისება (გაჩუქება);

ბ) ამ წესით დადგენილი სხვა ღონისძიებები - მათ შორის, ცხოველის ბინადრობის პირვანდელ არეალში დაბრუნება;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიება.“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 აპრილის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8

წინააღმდეგი – 0

**საკითხი 2**

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,** მომხსენებლის განმარტებით ცვლილება შედის გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №3 განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში, კერძოდ; მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში დაემატება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6 ერთეული ხაზოვანი ნაგებობა, პროექტის განხორციელებით მოსალოდნელია მოძრავი ქონების გარდაქმნა ფინანსურ აქტივად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 3**

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**, მომხსენებლის განმარტებით განკარგულების პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №4 განკარგულებით დამტკიცებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში ცვლილების განხორციელება, რის შედეგადაც მოსალოდნელია მოძრავი ქონების გარდაქმნა ფინანსურ აქტივად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, დანართის შესაბამისად.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 4**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამ თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა- ფლორა ასკაროვამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამ თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 16-19 აპრილს, ქ. თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, გურამი თუშიშვილმა (პ/ნ. ) +100 კგ. წონით კატეგორიაში - დაიკავა პირველი საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია გიორგი შინჯიკაშვილი (პ/ნ.

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გურამი თუშიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3 000 (სამი ათასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, 1500 (ერთიათასს ხუთასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 17 ივნისის №657 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამ თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 5**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ქავთარაძისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა- ფლორა ასკაროვამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ქავთარაძისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 16-17 მაისს, თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამბოში, რომელშიც ევროპის 28 ქვეყნიდან 300-მდე სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენმა, გიორგი ქავთარაძემ (პ.ნ 98+ კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. მისი მწვრთნელია გიორგი შინჯიკაშვილი (პ/ნ.

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის-გიორგი ქავთარაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 2000 (ორიათასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით 1000 (ათასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 5 ივნისის N 076 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ქავთარაძისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 6**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ნარიმანიძისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდეშელის დაჯილდოების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა- ფლორა ასკაროვამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ნარიმანიძისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდეშელის დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 13-18 მაისს, ბულგარეთის ქალაქ სამოკოვში გამართულ ევროპის პირველობაზე, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 17 წლამდელებს შორის - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა გიორგი ნარიმანიძემ ( პ/ნ. 5 1კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია თორნიკე ხიდეშელი (პ/ნ. .

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გიორგი ნარიმანიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 1000 ( ათასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის თორნიკე ხიდეშელის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 28 მაისის №103 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ნარიმანიძისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდეშელის დაჯილდოების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 7**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლევან ტოტიკაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა- ფლორა ასკაროვამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლევან ტოტიკაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის**

**დაჯილდოების შესახებ** და განმარტა, რომ 2026 წლის 18-23 მაისს, ბულგარეთის ქალაქ სამოკოვში გამართულ ევროპის პირველობაზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენმა, ლევანი ტოტიკაშვილმა (პ.ნ კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. მისი მწვრთნელია იმედა ფრეწუაშვილი (პ.ნ.

ბიუროს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ლევანი ტოტიკაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო მწვრთნელის, იმედა ფრეწუაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 1 ივნისის N 132 წერილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლევან ტოტიკაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 8**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი ფერაშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა- ფლორა ასკაროვამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 25 მაისის №095 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 8-20 მაისს უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მკლავჭიდში და პარა-მკლავჭიდში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა სპორტსმენებმა:

1. ლუკა კვანჭიანმა (პ.ნ. 55კგ. წონით კატეგორიაში, დიდებში, მარჯვენა ხელი - დაიკავა I ადგილი და მარცხენა ხელი Iადგილი. 23 წლამდე 55 კგ. წონით კატეგორიაში, მარჯვენა ხელი I ადგილი, მარცხენა ხელი - II ადგილი.
2. ბაკური კვანჭიანმა (პ.ნ. 60კგ. წონით კატეგორიაში დიდებში, მარჯვენა ხელი - I ადგილი. 18 წლამდე 60 კგ. წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელი I ადგილი.
3. გიორგი მათიაშვილმა (პ.ნ. +100კგ. წონით კატეგორიაში, პარა, დიდები, მხედველობა, მარჯვენა ხელი - II ადგილი და მარცხენა ხელი III ადგილი.
4. გიორგი ფერაშვილმა (პ.ნ. 65 კგ. წონით კატეგორიაში,პარა, ახალგაზრდული, მხედველობა, მარჯვენა ხელი - I ადგილი და მარცხენა ხელი I ადგილი.

ბიუროს წევრებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი და შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციის მიერ გადმოგზავნილ წერილის დანართებში და თავად ფედერციის წერილში მოცემული ინფორმაცია არ არის თანხვედრაში, რის გამოც, წარმოდგენილი მასალები, არ იძლევა მათი შინაარსის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ლუკა კვანჭიანის, ბაკური კვანჭიანის, გიორგი მათიაშვილის, გიორგი ფერაშვილისა და მწვრთნელის ლუკა ჩიტრეკაშვილის დაჯილდოების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 0
წინააღმდეგი – 8

**საკითხი 9**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევისა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა- ფლორა ასკაროვამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საქართველოს ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის 2026 წლის 10 ივნისის №60 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2026 წლის 3-6 ივნისს,

ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამართულ საქართველოს 33-ე ჩემპიონატზე კიკბოქსინგში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის კიკბოქსინგელთა გუნდმა წარმატებით დაასრულა პირველობა . პირველი ადგილი დაიკავეს სპორტსმენებმა: კარიმ ვალიევმა , ჰამიდ ომაროვმა , ელიმხან დაშდამიროვმა , ეფე ხალილოვმა ნიჰათ სოფიევმა (პ.ნ. და ჯანერ მამედოვმა (პ.ნ. , ხოლო მეორე ადგილი დაიკავა აიშე ალიევმა (პ.ნ. და მალიჩ ალიევმა (პ.ნ. , სპორტსმენების მწვრთნელია გაჯი ვალიევი (პ.ნ.

ბიუროს წევრებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი და შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის მიერ წარმოდგენილი წერილის შინაარსში დარღვეულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლი, ვინაიდან არ იკვეთება კონკრეტული მოთხოვნა ან შუამდგომლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: კარიმ ვალიევის, ჰამიდ ომაროვის, ელიმხან დაშდამიროვის, ეფე ხალილოვის, ნიჰათ სოფიევის, ჯანერ მამედოვის, მალიჩ ალიევისა და მწვრთნელის გაჯი ვალიევის დაჯილდოების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 0
წინააღმდეგი – 8

**საკითხი 10**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანმა ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ** და განმარტა რომ პროექტის თანახმად 2026 წლის მესამე კვარტალში გათვალისწინებულია შემდეგი გეგმიური საკითხების განხილვა:

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა**

| N | **გეგმური საკითხები** | **პერიოდი** |
|---|---|---|
| 1. | საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა. | |
| 2. | ---------- | |
| | სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა. | მესამე კვარტალი<br><br>(ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) |

კენჭი ეყარა - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ** საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

**საკითხი 11**

**საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების**

**განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ ივნისის თვის ხარჯები თანდართული ცხრილის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8
წინააღმდეგი – 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე :** **მიხეილ გედეხაური**